სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 587

დამატების № 103

კვირა, 29 აპრილი 1912 წ.



დედის ნეტარება. ქანდაკება მარმარილოსი.

ი. ი. რატილის გარდაცვალების გამო.

ი. ი. რატილის ქართულ მომღერალთა გუნდის ნაწილი, რომლითაც 1895 წ. მკათათვე-მარიამობის თვეს მოიარა: დუშეთი, კავკავი, პიატიგორსკი, კისლოვოდსკი, ესენთუკი, ყელეზნოვოდსკი, ეკატერინოდარი, ბათომი.

დგანან პირველ რიგზე ზევით: მარცხნიდან მარჯვნივ სიმ. ფხალაძე, ჯაფარიძე, გ. შატბერაშვილი, ვლ. იმერლიშვილი, გ. ჟანგირაშვილი, ელიაძე, ნ. გოცირიძე, ჯანდიერი, ან. გოგიაშვილი.

მეორე რიგზე სხედან: ცხვარაძე, პეტრიაშვილი, ი. ი. რატილი, ხუცაძე, ვ. თოფურია.

მესამე რიგზე სხედან: სოფრომაძე, ა. ყაზახიშვილი.

გოდება

ა

დიადი მზე ნაზ კაბადონს
ეთხოვება... ესალმება,
ღრუბლის გროვა ცის კიდურზე
ვარდისფერად იღებება.
ტბისა სივრცეს სხვითა კრთომა
აგვირისტებს... აელვარებს,
ტბის ლერწამი ნარნარ რხევით
მიბნედილი ხუჭავს თვალებს.

—

სურნელებას აღმა აკმევს
ფიანდაზად შლილი ველი,
ტრფობით დალალს უკულულებს
ზურმუხტ მდელოს სიო ნელი.
მტრედის ღუღუნს ეხლართება
მჩქეფარ ტალღად სევდის მღერა,
მოკამკამე ნაკადული
ხის ჩრდილებით დაისერა.

—

ქალწულებრივ კდემილ ღიმილს
ბუჩქსა სწირავს ნაზი ია,
ყვავილების ნაღვლით თრთოლა
ფოთოლთ შრიალს ჩაეხვია.
ტყის მდუმარ მკერდს გადაეკრა
ნისლის ზოლი გაკრეცილი,
არეს ვნებით ჩაეკონა
ჯადოსნური მწუხრის ძილი.

ბ

ტბასთან კლდის პირს ობლად იჯდა
დავრდომილი ერის შვილი,
ტბისა სივრცეს გაჰყურებდა
მწარედ გულხელ-დაკრეფილი.

—

ოხვრა მკერდსა უტოკებდა,
ცრემლს აფრქვევდა გულ-დამწვარი;
არეს სევდით აზარებდა
ობოლ სულის მწარე ზარი:

გ

„ჩემო სამშობლოვ, ჩემო სიცოცხლევ,
რა გექმნა წარსულ დღეთა შვენება?
რად არ გინათებს მომავლის სხივი?
სად გაქვს სიმტკიცე და ძლიერება?

—

ვისა სწყევლიან სასტიკის წყევით
გმირ მამა-პაპათ სამარეები?
ვისა გლოვობენ ცრემლების ფრქვევით
მთვლემარ მთაწმიდის შავი კლდეები?

—

რასა ბუტბუტებს მტკვარი გულმწარედ?
ნისლს რად იბურვენ ნამებით მთები?
რად გფლობს სამარის შავი დუმილი?
სად გყავს მხცოვანი გმირი შვილები?

—

დღევანდელ შვილთ კი... ვიშ! მეც, მეც ვიცნობ!
მკვდარნია ყველა—ცოცხლადა მკვდარნი,
ოქროში სცვლიან მამა-პაპათ ძვლებს,
გულით მშიშარნი... სულით ლაჩარნი...

—

ჯერ ვერ ჩაჰბმიან მსოფლიოს ფერხულს,
აზრს ვერ უქმნიან—აზრის სალაროს;
არც ზიზღი ძალ-უძთ... არც სიყვარული,
ვერც გულით ჟურვენ გრძნობისა წყაროს“

დ

აღარ ისმის სულის კვნესა,
კვლავ ობლად ზის ერის შვილი;
კვლავ ტბის სივრცეს გადაჰყურებს
მწარედ გულხელ-დაკრეფილი...

—

სდუმს. მდუმარედ ეწამება,
ცას შეჰყურებს გულ-დამწვარი;
არეს ნისლად ებურება
ობოლ სულის მწარე ზარი.

კიკნა—ფშაველი.

„ტიტანიკ“-ის დალუპვის გამო.



„ტიტანიკ“-ზე მყოფი უმავთულო ტელეგრაფის მოტელეგრაფე ფილიპსი, რომელიც ყოველ მხრივ აცნობებდა: ვიღუპებით, მოგვეშველეთო.

„ლენის“ ამბების გამო.

კ. ნ. მიტინსკი, რომელიც საქმის გამოსაძიებლად ვაჭრობის მინისტრმა ლენის მადაროებში გაჰგზავნა.

ვიცენტე გლასკო იგანიესის ნოველები

„კაცი ზღვაში!“

დაღამდა თუ არა, ხომალდი „სან-რაფაელი“ მარილით დატვირთული გავიდა ტორრევიეხიდან ჰიბრალტარს.

ხომალდი სავსე იყო და მარილით სავსე ტომრები ბაქანზედაც კი ეწყო. აქ, უმთავრეს ანძასთან მთელი მთა იყო ტომრებისა.

ხომალდის ერთი თავიდან მეორეზე გადასასვლელად კიდურზე გავლა სჭირდებოდა, და ასეთი სახიფათო მოგზაურობა იოლად ჩაუდიოდათ მხოლოდ სიმარჯვისა და გამოცდილების წყალობით.

საუცხოვო, ნათელი ზაფხულის ღამე იყო; გრილი ქარი დრო გამოშვებით ჰქროდა და ხან ააბუტშტებდა უმთავრეს იალქანს ისე, რომ ანძას ჭრიალი გაჰქონდა,—ხან ერთბაშად ჩადგებოდა და უშველებელი იალქნის ტილო ძალა მიხდილსავით ჩამოვარდებოდა და ანძას უტრიალებდა.

ეკიპაჟი *),—ხუთი ვაჟკაცი და ერთი ბიჭი,—მორჩა ყველა იმ საქმეს, რაც ზღვაში გასვლას სჭირია. ვახშმად დასხდნენ. ცხელ ქვაბს შემოსხდომოდნენ და ყოველი მათგანი, ძმურად, ხომალდის პატრონიდან დაწყებული უმცროს იუნგამდე **), შიგ აწებდნენ თავთავის ლუკმას.

ნავახშმევს ყველა, ვინც თავისუფალი იყო სამსახურისაგან, ჩაეშვნენ ქვედა განყოფილებაში, სადაც ხმელ ლოგინებზე თითონაც უნდა მოესვენათ და ღვინით და საზამთროთი სავსე კუჭებიც დაესვენებინათ.

მესაჭედ მარტო ბიძია ჩიპასი დარჩა, მოხუცებული, კბილებ ჩაცვივნული ზღვის მგელი ***), რომელმაც, რაღაც ხრუტუნით მოისმინა უფროსის უკანასკნელი ბძანება, და მასთან მის მფარველობის ქვეშე მყოფი ხუანილიო, იუნგა, რომელიც პირველად მოგზაურობდა და მეტად დავალიანებული იყო მოხუცისაგან, რადგანაც მხოლოდ მისის წყალობით მოჰხვდა „სან რაფაელის“ ეკიპაჟში და ამრიგად ბოლო მოეღო მის ხანგრძლივსა და მტანჯველ სიმშილს.

საცოდავი ხომალდი მშვენიერ, საარაკო ხომალდათ ეჩვენებოდა ყმაწვილს. დღევანდელი ვახშამი შეიძლება პირველი ვახშამი ყოფილიყოს მის სიცოცხლეში.

ცხრამეტის წლისა იყო და არ იცოდა, რას ერქვა გაძღომა, ან ჩაცმა; ღამეებს საბრალო დანგრეულ ქოხში ატარებდა, სადაც ტირილსა და ლოცვაში ჰლიოდა თავის დღეთ ქარებისაგან ფეხებ მოკვეთილი ბებია მისი, ხოლო დღისით ეხმარებოდა ზღვაოსნებს ნავების წყალში ჩაშვებაზე, გადმოჰქონდა თევზით სავსე კალათები, ან მიეკედლებოდა ვისმე ნავში და მიდიოდა თევზის საჭერად, რომ რამდენიმე წვრილი თევზი მოეტანა სახლში. ეხლა კი მამა მისის მეგობრის ბიძია ჩიპასის წყალობით ნამდვილი ზღვაოსანი იყო და სრული უფ-

*) ეკიპაჟი—ყველა გემის ან ხომალდის მოხელე ერთად. გემის უფროსი, მისი თანაშემწენი და სხვანი—ყველანი ერთად წარმოადგენენ გემის ეკიპაჟს.

**) იუნგა—ახალგაზდა ყმაწვილი, რომელიც ზღვაში პრაქტიკულად ეჩვევა ზღვაოსნობას.

***) ძველი, გამოცდილი ზღვაოსანი.

ოსმალეთ-იტალიის ომი.



დარდანელის სიმაგრეებიდან იტალიელებს ზარბაზნებით პასუხს აძლევენ კუმ-კალეხიდან.

ლება ჰქონდა თავისი ხელიც გაეწოდა ქვაბისაკენ. ფეხსაცმელებიც კი ეცვა, პირველი ფეხსაცმელი მის სიცოცხლეში,—ხის ფეხსაცმელი, ნამდვილი ორი პატარა ნავი, რადგან მშვენივრად სცურავდა წყალში,—სიამოვნებას ჰგვრიდა ყმაწვილს, ვინა სთქვა, ზღვა, საშიშიაო!.. სისულელეა! მიქარვაა!.. ამაზე უკეთესი სამსახური ქვეყანაზე არ არის.

ბიძია ჩისპასი ხომალდის ცხვირს თვალს არ აშორებდა და საჭეს ტარს—ხელსა, სცდილობდა იალქანსა და ტომრების გროვას შუა წყვდიადის გაპობას, თანაც ღიმილით უსმენდა ყმაწვილის ლაპარაკს.

— მართალია, კარგი სამსახური იშოვე, მაგრამ ამაშიაც არის ცუდი მხარე. შენ თვითონ დაინახავ... როდესაც ჩემდენს იცხოვრებ... ეგ ყველა კარგი, მაგრამ შენი ადგილი რომ აქ არ არის; წადი ცხვირზე და უყურე, თუ გამოჩნდეს წინ სხვა რამე ხომალდი.

ხუანილიო გაეშურა თავის ადგილისაკენ,—კიდურზე ისე უდარდელად და გულდამშვიდებულად მირბოდა, თითქო ქვიშნარი ზღვის პირი ყოფილიყოს.

— ფრთხილად, ბიჭო, ფრთხილად!

მაგრამ ის კიდეც მივიდა, ჩამოჯდა იქ და დააჩერდა ზღვის შავ ზედაპირს, რომლის სიღრმეშიაც უსწორ-მასწორ ზოლებად კრთოდა მოციმციმე ვარსკვლავები.

დიდ-მუცელა, მძიმე ხომალდი ყრუ ტყლაშანით ერტყმოდა ყოველ ახალ ტალღას და შხეფები ხუანილიოს სახეს სწვდებოდა. ორი ზოლი მთვარის სინალესებურ მოციმციმე ქაფისა აქეთ-იქით ჩაურბოდა ხომალდის ცხვირს და გაბერილი იალქანი, რომლის წვერი ღამის წყვდიადში იკარგებოდა, თითქო აპობდა ცის კამარას.

რომელი მეფე, რომელი ზღვაოსანთ სარდალი იყო ხუანილიოზე ბედნიერი, რომელსაც ბედმა „სან რაფაელოზე“ სამსახური არგუნა? ხრრ! ეს მისი სავსე კუჭი ჰმოწმობს სრულ სიამოვნებას. რა მშვენიერი ცხოვრებაა!

— ბიძია ჩისპას!.. ერთი თუთუნი მომაწევინე!

— მოდი, წაიღე!

ხუანილიო გაეშურა კიდურით, იმ მხრით, სადაც ქარი არა სცემდა. ერთ წამს ქარი ჩადგა და იალქანი ჯერ კიდე მოძიგძიგე ის-ის იყო უნდა დაშვებულიყო, ერთბაშად ერთი ძლიერად დაჰბერა, ხომალდი დაიზნიქა ერთ მხარეს, და ხუანილიო თავის შესაკავებლად იალქნის ბოლოს მოეგლაუჭა; მაგრამ სწორედ ამ დროს იალქანი ისევ გაიბერა ძალზე, გაიტაცა გემი და ისეთის ძალით ისროლა საწყალი ყმაწვილი, რომ ნასროლ ქვასავით გადააგდო წყალში.

ტალღათა ხმაურობაში ხუანილიოს, რომელსაც ზღვის მარილიანის წყალით ერთბაშად აევსო პირი, რაღაც ყვირილი, შორი და გაურკვეველი სიტყვები მოესმა,—იქნება მესაჭე ჰყვიროდა: „არიქა, ეაცი ზღვაში“!

მოულოდნელად ტალღებისაგან გაბრუებული ხუანილიო ღრმად, ღრმად ჩაიძირა წყალში, მაგრამ ვიდრე მიხვდა რაც მოხდა, ისევ ზემოდ მოექცა, მოუსვა ხელი და წმინდა ჰაერს დაუწყო ყლაპვა... ხომალდი კი? ის აღარ სჩანდა. ზღვა ბნელი იყო, უფრო ბნელი, ვიდრე ხომალდის ბანიდან სჩანდა.

ხუანილიოს მოეჩვენა, ვითომც რაღაც თეთრსა ჰხედავს, ხომალდის აჩრდილს, რომელიც შორიდან მისკენ მოსცურავს, მაგრამ ჩქარა სხვა მხარეს მოეჩვენა; ეხლა ხომალდმა თითქო მიმართულება შეიცვალა და სხვა გზით მისცურავდა; ყოველივე წარმოდგენას დაკარგული ყმაწვილი ძალზე მისცურავდა და თითონაც კი არ იცოდა, საით.

ფეხსაცმელები ტყვიასავით მძიმე იყო. წყეულები. აი როგორი გამოდგა მათი პირველი სამსახური. ქუდი თავზე უჭერდა, შარვალი ეჩაჩებოდა, თითქო ზღვის ძირსა სწვდება და იქ მცენარეთ ედებაო.

— მარჯვედ, ხუანილო, მარჯვედ!—მოიგლიჯა ქუდი და გული სწყდებოდა, რომ ფეხსაცმელების გაძრობაც არ შეეძლო.

თავისი თავის იმედი ჰქონდა. მშვენივრად სცურავს; ორს საათს ეყოფა ძალა. ამ ხნის განმავლობაში ხომალდის ეკიპაჟი მოასწრებს დაბრუნებას და მის გადარჩენას. საქმე იმით გათავდება, რომ ცოტა გადამეტებული ბანაობა დასჭირდება და მეტი არაფერი... მერე განა ასე კვდება ადამიანი? დიდ ღელვაში დაღუპვა, როგორც დაიღუპნენ მისი პაპა და მამა, ეგ კარგია, ასეთ მშვენიერ ღამეს კი და ასეთ წყნარ ზღვაში დაღუპვა მხოლოდ იმიტომ, რომ იალქანი აფრიალდა—ეგ ხომ რაღაც სამარცხვინო სიკვდილია.

და ყმაწვილი მისცურავდა და მისცურავდა; ჯერ კიდევ ელანდებოდა ხან აქ და ხან იქ გაურკვეველი სახე ხომალდისა და იმედს არ ჰკარგავდა, აგერ-აგერ გამოჩდება წყვდიადიდან „სენ-რაფაელი“, რომელიც მას ეძებს.

ეი, ხომალდო! ბიძია ჩისპას!.. პატრონო!

მაგრამ ყვირილი მხოლოდ ღალავდა და ორჯელ-სამჯერ ტალღები პირში მოხვდა. წყეულები!.. ხომალდზე რომ იყო, უმნიშვნელონი ეჩვენებოდნენ, ეხლა კი, როდესაც ყელამდის წყალშია და იძულებულია გაუჩერებლივ ხელები იქნიოს, რომ არ ჩაიძიროს, ეს ვითომ უმნიშვნელო ტალღები აღჩობენ, სცემენ, ყრუდ ერტყმევიან მის ტანს, ხან ბიბილოზე მოიქცევენ, ხან უფსკრულში აგდებენ, და თითქო ჩაყლაპვას უპირებდნენ, ერთმანეთს უერთდებიან.

ჯერ კიდევ სჯეროდა, თუმცა ისე მტკიცედ აღარა, რომ ორ საათს შეეძლო გაძლება. მართალია, ორი საათიც და მეტიც უცურავნია დაუღალავად იქ, მშობელ მხარის ზღვის პირას. მაგრამ მზიან დღეს და სარკესავით წყნარ ზღვაში, როდესაც ქვემოდ, კრიალა საუცხოვო სიღრმეში მოსჩანდა ყვითელი ქვები, მცენარეებით შემოვლებული, როგორც მარჯანით, ვარდის-ფერი სადაფი, ზღვის ვარსკვლავები; მოსჩანდნენ ბრწყინვალე ზღვის ყვავილები, რომელნიც ნაზად ირხეოდნენ თევზების ვერცხლის ფერ მუცლის შეხებაზე,—ეხლა კი კუპრივით შავ ზღვა შუაა, წყვდიადში დაკარგული, შებოჭილი თავის ტანისამოსით, და ვინ იცის რამდენი დამსხვრეული და დაღუპული ხომალდია მის ფეხ ქვეშ, რამდენი გვამი გაუმაძღარ თევზებისაგან შემოჭმული.

ხუანილიოს ჟრუანტელი უვლიდა სველ შარვლის ყოველ შეხებაზე, ეჩვენებოდა—ბასრი კბილები გამიყარესო.

დაღლილი, ძალა დაკარგული ზურგზე დაწვა და ტალღებს მიენდო. პირში შეჭმულ ვახშმის გემოსა გრძნობდა, წყული საჭმელი!.. რა ძვირად უჯდება მისი შოვნა! აი იქნება მის გამოისობით მოელის აქ ასეთი სულელური სიკვდილი.

უცბად, ანგარიშ მიუცემლად გამოიცვალა მდგომარეობა; იქნება ეძებენ და ზურგზე მწოლარეს ვერცკი დაინახავენ. ისევ მოუსვა ხელი, მაგრამ ეხლა სასოწარკვეთილებით; ტალღა რომ აიტაცებდა, სცდილობდა რაც შეეძლო შორს გაეხედნა. ტალღები კი ისროდნენ ერთის მხრიდან მეორეზე და სულ ერთ ადგილზე კი ტრიალებდა.

მიატოვეს ოითქო უბრალო მჩვარი გადავარდნილიყოს! ღმერთო ჩემო, ადამიანი დაივიწყონ ასე!.. მაგრამ არა, შეიძლება, სწორედ ამ წამს ეძებენ. ხომალდი ხომ ჩქარა მიდიოდა: მინამ ეკიპაჟი ბანზე ამოვიდა, მინამ იალქნების მიმართულება შესცვალეს, ხომალდი დიდ მანძილს გაივლიდა.

და ამ უკანასკნელის იმედით ნელ-ნელა იძირებოდა, თითქო მისი მძიმე ფეხსაცმელები ეწეოდნენ ქვემოდ. პირში მარილიანი სიმწარე იგრძნო; თვალები დაეხუჭა, ტალღები შეერთდნენ მის გაპარსულ თავს ზემოდ, მაგრამ გამოჩნდა მისი შეერთებული ხელები და ცოტა ხანს უკან თითონაც გაჩნდა ზემოდ. ხელები უდუნდებოდა, და თითქო ძილი მოერია, თავიც დაუშავა. ყმაწვილს ეჩვენა, ვითომც ცაც გამოიცვალა: ვარსკვლავებს წითელი ფერი მიეცა, ზღვა აღარ აშინებდა; გაზმორება მოუნდა, მოსვენება.

გაახსენდა ბებია; იქნება ისიც სწორედ ამ წამს მასზე ჰფიქრობს. და მოუნდა ლოცვის თქმა ისე, როგორც ათასჯერ უოლოცნია საბრალო მოხუცს მასთან:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“...

უხმოდ ლოცულობდა, მაგრამ იმავ დროს, თავის და უნებურად, გაანძრია ენა და ჩახლეჩილის ხმით, რომელიც ვიღაც სხვის ხმად ეჩვენა, წარმოსთქვა:

— საძაგლები! ღორები! მიმატოვეს.

ისევ ჩაიძირა და გაჰქრა, თუმც ბევრს ეცადა ზემოდ დარჩენას.

ვიღაც ჩასჭიდებოდა მის ფეხსაცმელებს და ქვემოდ ეზიდებოდა... შესცურა წყვდიადში და გადაყლაპა წყალი. უძლური, გონება დაკარგული აღარაფერს სცდილობდა, მაგრამ ერთხელ კიდევ, თითონაც არ იცოდა როგორ, ამოსცურა.

ეხლა ვარსკვლავები შავად ეჩვენებოდა, უფრო შავად ვიდრე ცა, მელნის შავ ლაქებად. ისევ ჩაიძირა და ეხლა კი საბოლოოდ. ტანი ტყვიასავით დაეშვა ქვეით, და მინამ ვარდებოდა უფსკრულში, რომელმაც შთანთქა დამსხვრეული გემები და შეჭმული ჩონჩხები, მის ტვინში, რომელსაც უფრო და უფრო ეხვევოდა სქელი ნისლი, იმეორებდა.

— „მამაო ჩვენო!.. მამაო ჩვენო!.. საძაგლები, ოხრები!.. მიმატოვეს!..

ივ. ზურაბიშვილი.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12. რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**